პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 292 (12804)

სამშაბათი, 17 დეკემბერი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

16 დეკემბერს დილით კრემლის დიდი სასახლისა და კრემლის თეატრის თავზე ზამთრის ცივმა ჰაერმა ააფრიალა საბჭოთა სახელმწიფოს წითელი ალმები, რომლებზეც გამოსახულია ნამგალი და უროო. კრემლში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ. სესიის გახსნამდე დიდი ხნით ადრე ხალხის რჩეულნი შეიკრიბნენ კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში, კრემლის თეატრის ფოიეში. მოსკოვს ჩამოვიდნენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის მშრომელთა დიდი არმიის წარმომადგენლები, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხის წარმომადგენლები. მათ კრემლში მოიტანეს ცოცხალი სუნთქვა დიდი შრომითი საგმირო საქმეებისა, საბჭოთა ადამიანების შთაგონებული შრომისა ნათელი მომავლის — კომუნიზმის აშენებისათვის.

ახლანდელი სესია ღირსშესანიშნავ დროს შეიკრიბა. ეს-ეს არის დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებიდან ჩვენი ხალხის ბრძოლაში სკკპ XXII კონგრესის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კომუნისტურ მშენებლობაში. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმ მიიღო ისტორიული — ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული დარგის გადაკეთების ფუნდამენტური პროგრამა, რაც საშუალებას გვაძლევს დავაჩქაროთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა ბევრი

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო,

მიღებული ერთხმად 1963 წლის 13 დეკემბერს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სკკპ XXII ყრილობის შემდეგ გასული ორი წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის განვითარებაში, სკკპ პროგრამით დასახული ამოცანების გადაწყვეტაში. კომუნისტური მშენებლობის წარმატებებმა, მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულმა განხორციელებამ, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითმა განვითარებამ და თანამედროვე ისტორიულ პირობებში გამოყენებამ კიდევ უფრო აამაღლა საერთაშორისო ავტორიტეტი სსრ კავშირისა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა.

მთელ თავის მოღვაწეობაში პარტია მუდამ ხელმძღვანელობს ლენინური მითითებებით, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სამეურნეო მშენებლობა, ეკონომიკა კომუნიზმისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ასპარეზი გახდა. **„ჩვენ საერთაშორისო რევოლუციაზე მთავარ ზეგავლენას ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით ვახდენთ** — ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი... — **ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით ამ სარბიელზეა გადატანილი. თუ ჩვენ ამ ამოცანას გადავწყვეტთ, მაშინ ჩვენ საერთაშორისო მასშტაბით აუცილებლად და საბოლოოდ მოვიგებთ“.**

სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობა პარტიას მიაჩნია საბჭოთა ხალხის დიად ინტერნაციონალურ ამოცანად, რომელიც შეესაბამება მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის ინტერესებს, საერთაშორისო პროლეტარიატის, მთელი კაცობრიობის ინტერესებს. სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი ლენინური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის დიადი წვლილია მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცების საერთო რევოლუციურ საქმეში, ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ბრძოლაში ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხთა ბრძოლაში იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ეს არის ჩვენი წვლილი ხალხთა ბრძოლაში მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებს სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებისა და თანამშრომლობის განმტკიცების ხაზს ძმური მეგობრობისა და ურთიერთ დახმარების საფუძველზე.

ჩვენი პარტიის ლენინურ კურსს, სკკპ XX, XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელებას ახალი და ახალი გამარჯვებები მოაქვს კომუნისტურ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებაში, მისი ძლიერების განმტკიცებასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ახალი ადამიანის აღზრდაში.

მრეწველობის საერთო პროდუქცია უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში 2,7-ჯერ გადიდდა, შრომის ნაყოფიერება — თითქმის ორჯერ. სამრეწველო პროდუქციის მატების საშუალო წლიურმა ტემპებმა 10,5 პროცენტი შეადგინა. აშენებულია 8.500 ახალი დიდი სამრეწველო საწარმო, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. ყამირი მიწების ათვისების, მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის მეოხებით მნიშვნელოვნად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და სახელმწიფო შესყიდვა. მიმდინარე წელს, მკაცრი ზამთრისა და სასტიკი გვალვის მიუხედავად, შესყიდულია 1,4-ჯერ მეტი მარცვალი, ვიდრე 1953 წელს, ხორცი — 2,6-ჯერ მეტი, რძე — 2,7-ჯერ მეტი, ბოსტნეული — 2,5-ჯერ მეტი. 1963 წელს საბჭოთა კავშირში მოკრეფილია 5 მილიონ 200 ათასი ტონა ხამი ბამბა — ეს ყველაზე უხვი მოსავალია საბჭოთა მებამბეობის მთელ ისტორიაში. მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე გასულ წელს, დამზადებულია კარტოფილი, ხილი, გადაჭარბებით შესრულებულია ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა.

საზოგადოებრივი წარმოების სწრაფმა ზრდამ უზრუნველყო ათწლეულის განმავლობაში ეროვნული შემოსავლის გადიდება 2,3-ჯერ და მშრომელთა რეალური შემოსავლის 61 პროცენტით გადიდება ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით. ამ პერიოდის განმავლობაში უდიდესი გაქანება მიიღო საბინაო მშენებლობამ. ახალ სახლებში შესახლდა და საბინაო პირობები გაუმჯობესა 108 მილიონმა კაცმა — ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარმა.

საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის. ხუთი წლის განმავლობაში საერთო პროდუქცია გაიზრდება 58 პროცენტით ნაცვლად საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 51 პროცენტისა. ჩვენი ქვეყანა ამ წლების მანძილზე დავალების გადამეტებით მიიღებს 14 მილიონ ტონაზე მეტ ფოლადს, 22 მილიონ ტონაზე მეტ ნავთობს, 3 მილიონამდე ტონა მინერალურ სასუქებს. 900 მილიონ მანეთისაზე მეტ ხელსაწყოებსა და ავტომატიზაციის საშუალებებს. 3 მილიარდი მანეთის გადაჭარბებით სრულდება შვიდწლედის ხუთი წლის დავალება სახალხო მოხმარების საგნების წარმოების დარგში.

პარტია მტკიცედ ახორციელებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაჩქარებული ტექნიკური პროგრესის კურსს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვის შედეგად განახლდა ძირითადი საწარმოო ფონდების თითქმის ნახევარი.

კომუნისტური პარტია პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს სამეურნეო მშენებლობის საკითხებს და მტკიცედ სრულყოფს მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საწარმოო პრინციპით განხორციელებულმა პარტიული ორგანოების გარდაქმნამ საშუალება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს უფრო კონკრეტულად და მიზანსწრაფულად უხელმძღვანელონ მრეწველობას, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობას. პარტიამ განახორციელა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი დაგეგმვის გაუმჯობესებისათვის, ტექნიკური პოლიტიკის ცენტრალიზაციისათვის, კაპიტალური მშენებლობის უფრო სწორი ორგანიზაციისა და მთელი ეკონომიური მუშაობის დონის ამაღლებისათვის.

ჩვენი მარქსისტულ-ლენინური პარტია, სოციალისტური რევოლუციის პარტია, მთელ თავის საქმიანობას ეწევა მეცნიერულ საფუძველზე და გამოდის როგორც მძლავრი რევოლუციური ძალა ახალი სამყაროს მშენებლობაში, წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

თანამედროვე პირობებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის ყველაზე პროგრესული დარგების უპირატეს განვითარებას, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მოკლე ვადებში მივიღოთ მაქსიმალური ეკონომიური ეფექტი კაპიტალური დაბანდებებით. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ახლა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ქიმიურ მრეწველობას, როგორც სოფლის მეურნეობის, წარმოების სხვა დარგების შემდგომი აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს ბერკეტს. ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის დარგში უახლესი აღმოჩენები იწვევენ საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების გიგანტურ დაჩქარებას. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმატებითი მშენებლობა ბევრად არის დამოკიდებული, იმაზე, თუ რამდენად ფართოდ და სრულად იქნება გამოყენებული სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უკანასკნელი წლების საბჭოთა და საზღვარგარეთის გამოცდილება სულ უფრო სრულად ავლინებს ქიმიური ინდუსტრიის მზარდ შესაძლებლობებს, ამაღლებს მის როლს საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში. ქიმიური მრეწველობა სახალხო მეურნეობის განვითარებაში ახლა პირველ პლანზე გამოდის იმიტომ, რომ ქიმიური მასალების გამოყენება ძირეულ თვისებრივ გარდაქმნებს იწვევს მატერიალური წარმოების წამყვან დარგებში. ეს გარდაქმნები შესაძლებლობას იძლევა გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, უზრუნველვყოთ დაგროვების ზრდა გაფართოებული კვლავწარმოებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მთავარ და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია თავი მოუყაროს საშუალებებსა და მეცადინეობას მძლავრი ქიმიური ინდუსტრიის შექმნისათვის, რათა მომავალ შვიდწლეულეულში მკვეთრად გადიდდეს მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება მემცენარეობისა და მეცხოველეობისათვის. მინერალური სასუქები სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველთა საფუძველია. მათი ფართოდ გამოყენება სახავს გზას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიურად წარმართვისათვის. საჭიროა სრულად გამოვიყენოთ ქიმიის მძლავრი ძალა მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, რათა სრულად უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე და მრეწველობისა — ნედლეულზე.

ქიმია უდიდეს შესაძლებლობებს სახავს კვების მრეწველობის ტექნოლოგიისა და ეკონომიკის დონის ამაღლებისათვის, დიდ გავლენას ახდენს მედიცინის განვითარებაზე. ეგრეთწოდებული მცირე ქიმია მოწოდებულია გადაჭრას მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, და მას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარება შესაძლებლობას იძლევა აგრეთვე გადავწყვიტოთ ის პრობლემა, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ხალხის მოთხოვნილებანი ტანსაცმელზე, ფეხსაცმელსა და სხვა საქონელზე ხელოვნური ბოჭკოების, ტყავის შემცვლელების, პლასტიკური მასების, სინთეზური აფსკებისა და სხვა მასალების წარმოების გადიდების გზით და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარების გზით.

ქიმიური მრეწველობა ტექნიკური პროგრესის დიდ პერსპექტივებს სახავს მძიმე ინდუსტრიასა და მშენებლობაში. პოლიმერული მასალების გამოყენება წინგადადგმული დიდი ნაბიჯია ტექნიკის განვითარებაში, აუმჯობესებს და აჩქარებს ტექნოლოგიურ პროცესებს, ხელს უწყობს მანქანებისა და მოწყობილობის კონსტრუქციების სრულყოფას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას. მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, მისი ვადების შემოკლება და ღირებულების შემცირება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა ადგილს დაიკავებენ ქიმიის პროდუქტები მშენებლობასა და საშენი მასალების მრეწველობაში. ქიმიის უახლეს მიღწევათა დანერგვა მძიმე მრეწველობასა და მშენებლობაში დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია შეიცავს იმ ქიმიური პროცესების სრულყოფასაც, რომლებიც განეკუთვნებიან მრეწველობის სხვა დარგებს, როგორიც არის: ნავთობისა და მერქნის გადამუშავება, შავი და ფერადი ლითონების, მინის, ცეცხლგამძლეების, ნახევარგამტარებისა და ბევრი სხვა მასალის წარმოება.

საბჭოთა კავშირს ყველაფერი აქვს, რაც საჭიროა ქიმიური მრეწველობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. საბჭოთა ხალხმა, რომელიც ასრულებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წელი) პლენუმის დადგენილებას, ფართო მასშტაბებით გაშალა დიდი ქიმიის მშენებლობა და უკვე მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატებანი.

მძიმე ინდუსტრიის ამ დარგში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ ხუთი წლის მანძილზე 5,3 მილიარდ მანეთს მიაღწია, რაც ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე დაბანდებული იყო ქიმიის განვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების წინა ორმოცი წლის მანძილზე. ხუთ წელიწადში მწყობრში ჩადგა 35 ქარხანა და 250-ზე მეტი მსხვილი ქიმიური წარმოება.

ახლა ქიმიური მრეწველობის ძირითადი ფონდების ორ მესამედს ის ქარხნები და საამქროები შეადგენენ, რომლებიც შვიდწლედის წლებში აშენდა. ბაშკირეთში, ვოლგა-პირეთში, აზერბაიჯანში, ციმბირში, უკრაინის დასავლეთ ოლქებსა და შუა აზიის რესპუბლიკებში ქიმიური პროდუქციის მწარმოებელი მრეწველობის ახალი მსხვილი ცენტრები შეიქმნა ყველაზე უფრო ეკონომიური სახეობის ნედლეულის — თანამგზავრი ნავთობგაზისა და ბუნებრივი გაზის და ნავთობგადამუშავების პროდუქტების ბაზაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შემდეგ ქიმიური მოწყობილობის წარმოება ჩვენს ქვეყანაში 2,7-ჯერ გაიზარდა.

პარტიული ორგანიზაციები დიდ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ქიმიური ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ლენინური კომკავშირი. მთელი რიგი ქიმიური ქარხნებისა და სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივებმა საყურადღებო ინიციატივა გამოიჩინეს მოქმედ წარმოებათა გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის, მშენებლობის დაჩქარებისა და ახალ ქიმიურ საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეების ათვისებისათვის.

ამ სახელოვან წამოწყებათა ინიციატორები იყვნენ ტულის, მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, ლუგანსკის, გროდნოს ოლქების, სტავროპოლის მხარისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების საწარმოთა და მშენებლობათა მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები.

ახალ სიმძლავრეთა ამუშავებამ, საწარმოთა კოლექტივების დიდმა მუშაობამ მოქმედ წარმოებათა ინტენსიფიკაციისათვის შესაძლებელი გახადა ქიმიური პროდუქციის წარმოება ხუთი წლის მანძილზე 89 პროცენტით გადიდებულიყო. სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების წარმოება გადიდდა 2,3-ჯერ, ქიმიური ბოჭკოებისა — 1,9-ჯერ, მინერალური სასუქებისა — 1,6-ჯერ. მნიშვნელოვნად გადიდდა სინთეზური კაუჩუკის, ავტომობილის სალტეების, გოგირდმჟავასა და სხვა პროდუქციის გამომუშავება. ამან შესაძლებლობა მოგვცა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ქიმიური მასალები მსუბუქ მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, მშენებლობასა და სხვა დარგებში. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ქიმიური პროდუქტების გამოყენებით მიღებული ეკონომია ხუთ წელიწადში სამი მილიარდამდე მანეთი იქნება.

ამასთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ბევრი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანო სრულად როდი იყენებდა არსებულ შესაძლებლობებს ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის. ქიმიურ საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ნაწილი ათვისებული არ არის. ზოგიერთი ქიმიური საწარმო შეუწყნარებლად ნელა შენდება, ჭიანურდება. ახალი და რეკონსტრუირებული ქარხნებისა და წარმოებების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ვადები, სერიოზული ნაკლოვანებებია დაპროექტებაში. ქიმიური მანქანათმშენებლობა ჩამორჩება სწრაფად მზარდი ქიმიური მრეწველობის მოთხოვნილებებს. მთელ რიგ შემთხვევებში ბევრი ქიმიური წარმოების პროდუქციის ხარისხი არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია და სახალხო მეურნეობის საბჭო ყოველდღიურად არ ზრუნავს ქიმიის მშენებლობებისა და მოქმედ საწარმოთა მუშაობისათვის, რაც უმნიშვნელოვანესი და პირველი რიგის საქმეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, ითვალისწინებს რა კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს, საჭიროდ თვლის პარტიისა და ხალხის განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებულ განვითარებას, ქიმიის მიღწევების ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის მომავალი შვიდი წლის განმავლობაში გამოყოფილ იქნება დიდი კაპიტალური დაბანდებანი. სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების პროგრამის განხორციელება მოითხოვს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მუშაკების, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეების მთელი ძალების მობილიზაციას, რეზერვებისა და შესაძლებლობების უნარიანად გამოყენებას.

ამასთან დაკავშირებით უსაზღვროდ იზრდება პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების როლი მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებაში, სახალხო მეურნეობაში მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საქმეში ჩამორჩენილობის, არაოპერატიულობის ყველა გამოვლინებისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნაში, პარტიულ-სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებაში და ქიმიის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის მშრომელთა კოლექტივების პასუხისმგებლობის გრძნობის გადიდებაში.

მძლავრი ქიმიური მრეწველობის შექმნა ჩვენს ქვეყანას უდიდეს ეკონომიურ ეფექტს მისცემს. მრეწველობის ვერც ერთი დარგი ვერ შეედრება ქიმიას დაბანდებული სახსრების ეფექტიანობით. მთელი დანახარჯები ქიმიის განვითარებაზე, რომლებსაც შვიდი წლის განმავლობაში დავაბანდებთ, არა მარტო სავსებით ანაზღაურდება, არამედ უდიდეს, მრავალმილიარდიან დაგროვებას მოგვცემს. ეს ხელს შეუწყობს პარტიის პროგრამით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული პროგრამა ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებისა მომავალი შვიდი წლისათვის (1964-1970 წ.წ.). ამ პროგრამის განხორციელება მიჩნეულ იქნას უმნიშვნელოვანეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ ამოცანად, რომლის შესრულებისათვის საჭიროა უახლოეს პერიოდში დავრაზმოთ პარტიისა და ხალხის ძალები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალოთ გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის გეგმებში წარმოების გადიდება 1970 წელს შემდეგი ოდენობით:

— მინერალური სასუქებისა — 70-80 მილიონ ტონამდე;

— ჭერბიციდებისა და მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებებისა — 800-900 ათას ტონამდე;

— ქიმიური ბოჭკოებისა — 1 მილიონ 350 ათას ტონამდე;

— პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისებისა — 3,5-4 მილიონ ტონამდე;

— ავტომობილის სალტეებისა — 44 მილიონ ცალამდე;

— ლაქსაღებავების მასალებისა — 2,4-2,8 მილიონ ტონამდე;

— გადიდდეს სინთეზური სპირტისა და სინთეზური ცხიმშემცვლელების წარმოება ისე, რომ მათ მთლიანად დააკმაყოფილონ სახალხო მეურნეობის საჭიროებანი და სავსებით შეცვალონ კვების პროდუქტები ტექნიკაში.

გათვალისწინებულ იქნას სინთეზური კაუჩუკისა და რეზინატექნიკურ ნაკეთობათა წარმოების განვითარების მაღალი ტემპები.

განხორციელდეს ღონისძიებანი ქიმიური პროდუქტების, განსაკუთრებით მინერალური სასუქების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მნიშვნელოვნად ამაღლდეს მათში მაწარი ნივთიერებათა შემცველობა და გაუმჯობესდეს ფიზიკური თვისებები. ამ პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულ იქნას საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა ქიმიური მრეწველობისათვის და ამ ამოცანის გადაწყვეტასთან დაკავშირებული სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის.

2. ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ქიმიის უდიდესი შესაძლებლობანი პირველ რიგში გამოყენებულ უნდა იქნას **სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისა** და ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვის შექმნისათვის.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტკომებსა და ამ სამმართველოთა უფროსებს, სოფლის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და მექანიზაციის, ირიგაციისა და მელიორაციის განვითარების, აგრეთვე ბიოლოგიური მეცნიერების მიღწევათა უკეთ გამოყენების საფუძველზე მიაღწიონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვან გადიდებას.

მიჩნეულ იქნას ყველაზე გადაუდებელ ამოცანად, რომ უახლოეს წლებში მარცვლის წარმოება გადიდდეს 5-7 მილიარდი ფუთით, ესე იგი მისი საერთო მოსავალი 1970 წელს აყვანილ იქნას 14-16 მილიარდ ფუთამდე. მარცვლის წარმოების ასეთი ზრდა შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანად უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება პურზე, შევავსოთ სახელმწიფო რეზერვები და საჭირო რაოდენობით მივიღოთ ხორცი, რძე და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა ქიმიის განვითარებისა და სასუქებით უზრუნველყოფის გათვალისწინებით განსაზღვრონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დონე, თვითეული რესპუბლიკის წვლილი მარცვლის, ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების დამზადების საერთო-საკავშირო ფონდში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეთა გადიდებისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის კარგად შენახვისა და რაც შეიძლება ეფექტიანი კომპლექსური გამოყენების უზრუნველყოფა.

წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სასოფლო საოლქო და სამხარეო კომიტეტებს, საოლქო და სამხარეო აღმასკომებს უზრუნველყონ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლიანობის გადიდებისა და ნათესი ფართობების სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება ისე, რომ უკვე 1964 წელს მიაღწიონ მარცვლის, საკვების, შაქრის ჭარხლის, ბამბის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ზეთოვანი კულტურების, ჩაისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკათა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებმა შეიმუშაონ და განახორციელონ მატერიალური წახალისების დამატებითი ღონისძიებანი იმ კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და ბრიგადებისათვის, რომლებიც, სასუქებს რომ მიიღებენ, მოსავლის ყველაზე დიდ მატებას მოგვცემენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება და ბაზის შექმნა სარწყავ მიწებზე გარანტირებული რაოდენობით მარცვლის, განსაკუთრებით ბრინჯისა და სიმინდის მიღებისათვის. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ირიგაციის, მელიორაციის განვითარებისათვის და არსებული სარწყავი მიწების უკეთ გამოყენებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი საბჭოთა, საგეგმო, სამეურნეო ორგანოების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ მარცვლეულის ბალანსის განგაარიშების შედგენისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას არა მარტო მოთხოვნილება სასურსათო მარცვალზე, არამედ აგრეთვე გათვალისწინებულ იქნას მეცხოველეობის სრული უზრუნველყოფა კონცენტრირებული საკვებით, აგრეთვე სადაზღვევო და სხვა ფონდების შექმნა.

(დასასრული მე-2 გვ.).

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობა

(დასასრული)

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მინერალური სასუქების წარმოების გადიდებასთან ერთად გაითვალისწინოს სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა ჰერბიციდებით და მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებებით, ნიადაგში შესატანი მიკროელემენტებით, ცხოველთა საკვებში ვიტამინების, სინთეზური ცილოვანი ნივთიერებების, ამინომჟავების, ანტიბიოტიკების დამატებით, აგრეთვე სინთეზური აფსკებით, პლასტმასის მილებითა და პოლიმერული მასალებისაგან დამზადებული სხვა ნაწარმით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოითხოვს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების ხელმძღვანელები, „საკსოფლტექნიკის“ და ტრანსპორტის მუშაკები, მომჭირნედ, ყაირათიანად ეკიდებოდნენ მინერალურ სასუქებს. საჭიროა ბოლო მოეღოს მინერალური სასუქების ყველასათვის ცოტ-ცოტა განაწილების მანკიერ პრაქტიკას. სასუქები პირველ რიგში უნდა გამოუყონ იმ რაიონებს, სადაც ნიადაგი, კლიმატური და სხვა პირობები მოსავლის ყველაზე დიდი მატების მიღების საშუალებას იძლევიან. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სახმეშნმა, გზათა სამინისტრომ და გაერთიანება „საკსოფლტექნიკამ“ შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეიტანონ წინადადებანი საწყობების მშენებლობის, სასუქების ტრანსპორტირების, შენახვისა და ნიადაგში შეტანის სისტემის შესახებ, ამისათვის საჭირო ტექნიკის წარმოების ორგანიზაციის შესახებ.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია მოითხოვს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომ ტექნიკურ აღჭურვას სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების შეტანისათვის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად წარმოებისათვის საჭირო მანქანებითა და მექანიზმებით. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, ავტოტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და გაერთიანება „საკსოფლტექნიკამ“ შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეიტანონ წინადადებანი ამ ტექნიკაზე სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა სრული უზრუნველყოფის შესახებ.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გააფართოონ სპეციალისტ-აგროქიმიკოსთა მომზადება და გაიაღონ მუშაობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოო სამმართველოების აგრონომთა და ზოოტექნიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ფართოდ გაჩაღებულ სამუშაოებთან დაკავშირებით და იმ მიზნით, რომ უფრო სწორად იყენებდნენ მინერალურ სასუქებსა და სხვა ქიმიურ პროდუქტებსა და მასალებს სოფლის მეურნეობისათვის, საჭიროდ იქნას მიჩნეული სათანადო ორგანოს შექმნა გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ ტიპის მიხედვით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალოს განიხილოს ასეთი ორგანოს შექმნის საკითხი. რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებსა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებში უნდა იყოს კვალიფიციური აგროქიმიური სამსახური.

3. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ **ქიმიური ინდუსტრიის განვითარება დიდ შესაძლებლობებს სახავს სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის ფართო ასორტიმენტის წარმოებისათვის.**

ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სახალხო მოხმარების სხვა საქონლის წარმოების გაფართოების მიზნით უზრუნველყოფილ იქნას 1970 წელს ქიმიური ბოჭკოების გამომუშავება 1 მილიონ 350 ათასი ტონის რაოდენობით. საჭიროა გაუმჯობესდეს პოლიმერული მასალების ხარისხი, სრულყოფილ იქნას ვისკოზის, კაპრონისა და აცეტატის ბოჭკოების ტექნოლოგია და ხარისხი, უფრო სწრაფად გადიდდეს ისეთი მაღალხარისხოვანი ბოჭკოების წარმოება, როგორიც არის ლავსანი, ნიტრონი, ვინოლი და სხვები, აგრეთვე ახალი სინთეზური ფისების წარმოება.

უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახოს, რომ ქიმიური მასალების ფართოდ დანერგვის საფუძველზე წარმოების ზრდა 1970 წელს აყვანილ იქნას:

ა) ქსოვილებისა 12 მილიარდ 300 მილიონ მეტრამდე, ესე იგი თითქმის ერთნახევარჯერ 1963 წელთან შედარებით;

ბ) წინდის ნაწარმისა 2 მილიარდ 200 მილიონ წყვილამდე, ესე იგი თითქმის ერთიორად;

გ) ტრიკოტაჟის საცვლებისა 1 შილიარდ 600 მილიონ ცალამდე, ესე იგი თითქმის სამჯერ;

დ) ზედა ტრიკოტაჟისა 400 მილიონ ცალამდე, ესე იგი სამჯერ;

ე) ფეხსაცმლისა 650 მილიონ წყვილამდე, ესე იგი თითქმის ერთნახევარჯერ, ვიდრე 1963 წელს.

ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დასახულ მოცულობათა მიღწევისათვის დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს გაითვალისწინონ 1964-1970 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმებში მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეების საჭირო გადიდება.

ქიმიურ მრეწველობაში ახალ მიმართულებათა განვითარებას თვისებრივი ცვლილებები შეაქვს სახალხო მოხმარების ბევრი საქონლის წარმოებაში, შესაძლებელს ხდის ფართო ოდენობით მოვაწყოთ ტრიკოტაჟის, ხელოვნური ტყავისა და უქსოვი მასალების ნაკეთობათა წარმოება, აუმჯობესებს საქონლის ხარისხს და ამცირებს მის თვითღირებულებას. ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის ამ საქონლის საცალო ფასების შესამცირებლად. უფრო სრულად იქნება დაკმაყოფილებული მოსახლეობის მუდმივად მზარდი მოთხოვნილებანი.

4. ქიმიური მრეწველობის განვითარება, კერძოდ, პლასტმასებისა და სხვა პოლიმერული მასალების წარმოება, იწვევს ტექნოლოგიის სერიოზულ გარდაქმნებს მძიმე ინდუსტრიისა და მშენებლობის ბევრ დარგში.

ჩვენი ეკონომიკის მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა მიხედვით საჭიროა 1970 წელს ვაწარმოოთ 3,5-4 მილიონი ტონა პლასტიკური მასები და სინთეზური ფისები.

მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, საწარმოო გამოცდილებისა და პლასტმასების დანერგვის ეკონომიური ეფექტიანობის გათვალისწინებით, საჭიროა ამ მასალებით მაქსიმალურად შეიცვალოს ფერადი ლითონები იქ, სადაც ეს ეკონომიურად მიზანშეწონილი და ტექნიკურად შესაძლებელია; განსაკუთრებით ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, ქიმიურ და ნავთობის მანქანათმშენებლობაში; გამოყენებულ იქნას პლასტიკური მასები ნაცვლად ლეგირებული ლითონებისა მანქანების კვანძების და დეტალების დამზადების დროს, მილებისა და სხვა ნაკეთობათა წარმოებაში.

მერქნის ქიმიური გადამუშავების დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის გამო, რაც შესაძლებელს ხდის მრავალი ათეული მილიონი კუბმეტრი შეშის და მერქნის ნარჩენების რაციონალურად გამოყენებას, საჭიროდ ჩაითვალოს, რომ 1970 წელს ცელულოზის წარმოება აყვანილ იქნას 11,5 მილიონ ტონამდე, ქაღალდისა — 7 მილიონ ტონამდე, მუყაოსი—6 მილიონ ტონამდე, ხის ბურბუშელის ფილებისა — 4 მილიონ კუბურ მეტრამდე, ხის ბოჭკოს ფილებისა — 400 მილიონ კვადრატულ მეტრამდე და ფანერისა — 3,5 მილიონ კუბურ მეტრამდე.

საჭიროა აგრეთვე ფართოდ დაინერგოს პლასტიკური მასები მშენებლობაში, კერძოდ, იატაკის საფარის მოსაპირკეთებელი მასალების, სანიტარულ-ტექნიკური და სხვა ნაკეთობათა წარმოებისას, რაც დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა.

გადიდებულ იქნას წარმოება სინთეზური საღებრებისა და ლაქის საფარებისა სახალხო მოხმარების საქონლისათვის, აგრეთვე მრეწველობისა და მშენებლობის სხვადასხვა დარგისათვის, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობისათვის, და მათ შორის საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობისათვის. გაუმჯობესდეს გამოშვებული საღებრების ხარისხი.

5. ითვალისწინებს რა იმას, რომ სინთეზურ შემცვლელთა გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს მნიშვნელოვნად შევამციროთ და სულაც კი შევწყვიტოთ საკვები პროდუქტების ხარჯვა ტექნიკური მიზნებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მოაწყონ საკვები ნედლეულის სრულფასოვან შემცვლელთა წარმოება და უკვე 1967-1968 წლებში შეწყვიტონ მარცვლის, შაქრის, მცენარეული ზეთების, რძისა და კარტოფილის გამოყენება ტექნიკური მიზნებისათვის.

გეგმებში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე წარმოება აფსკური და ლაქსაღებავი მასალებისა, კონსერვანტებისა და ქიმიის სხვა პროდუქტებისა, რომლებიც საჭიროა მრეწველობისათვის, სოფლის მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამკურნალო პრეპარატების წარმოებას.

6. ქიმიური მრეწველობისათვის მოწყობილობის წარმოების განვითარების დიდი მნიშვნელობის გამო, გათვალისწინებულ იქნას **ქიმიური მანქანათმშენებლობის** ზრდის მაღალი ტემპები. ამისათვის საჭირო ოდენობამდე გადიდდეს მოქმედი ქარხნების სიმძლავრენი, განხორციელდეს სპეციალიზებულ მანქანათსამშენებლო საწარმოთა მშენებლობა. ამაღლდეს მანქანების, აპარატებისა და ხელსაწყოების ტექნიკური დონე, მკვეთრად გაუმჯობესდეს მოწყობილობის ხარისხი, გაძლიერდეს ქიმიური მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო ბაზა, მოეწყოს მშენებლობებისათვის მოწყობილების კომპლექტური მიწოდება. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, ქიმიისა და ნავთობის მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს ერთი თვის ვადაში შეიტანონ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში კონკრეტული წინადადებანი ამ საკითხებზე.

7. ქიმიური მრეწველობის განვითარების დასახული პროგრამის განხორციელება მოითხოვს ქიმიური საწარმოების მშენებლობის ორგანიზაციისა და მოწყობილობით მათი კომპლექტაციის ძირეულ გაუმჯობესებას.

უახლოეს შვიდ წელიწადში უნდა ავითვისოთ ქიმიურ მრეწველობაში და მის განვითარებასთან დაკავშირებულ დარგებში კაპიტალურ დაბანდებათა უდიდესი მოცულობა. ეს ამოცანა წარმატებით რომ გადაიჭრას, უწინარეს ყოვლისა საჭიროა განმტკიცდეს სამშენებლო ორგანიზაციები, ქიმიურ საწარმოთა მშენებლობის ყველაზე დიდი კონცენტრაციის რაიონებში შეიქმნას სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციები, გაძლიერდეს მშენებლობის ინდუსტრიული ბაზა. საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს ქიმიურ საწარმოთა დაპროექტებისა და განლაგების საქმე, ამასთან გათვალისწინებულ იქნას ყველა ეკონომიური ფაქტორი.

დაევალოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ქიმიისა და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის. უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ ყველა აშენებული საწარმოსა და საამქროს ამუშავება და საპროექტო სიმძლავრემდე აიყვანონ მათი წარმოება.

რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული კონტროლი უნდა გაუწიონ ქიმიური ინდუსტრიის თვითეული საწარმოს მშენებლობას, განახორციელონ ღონისძიებანი თვითეული ობიექტის დროულად ამუშავებისა და მისი სიმძლავრის სწრაფი ათვისებისათვის. ქიმიური მრეწველობის ახალ საწარმოთა მშენებლობის დაჩქარებასთან ერთად საჭიროა უფრო ფართოდ გაიშალოს მუშაობა მოქმედ ქარხნებში ქიმიური პროდუქციის გამოშვების გადიდების შესაძლებლობათა გამონახვისა და გამოყენებისათვის. მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაციისა და შეცვლის და ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციის გზით.

ახალი ქიმიური საწარმოებისა და საამქროების დაგეგმვისა და დაპროექტების დროს პროექტებში გათვალისწინებულ იქნას უახლესი ოპტიმალური ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება და როგორც წესი, გამოყენებულ იქნას გამსხვილებული აგრეგატები, აგრეთვე განისაზღვროს წარმოებათა სწორი თანაფარდობა კომბინატების სისტემაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქიმიურ წარმოებათა კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

8. სახელმწიფო კომიტეტების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, საწარმოების, სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს წარმოების ნარჩენებისა და ნედლეულის თანაპროდუქტების ფართო კომპლექსური გამოყენება როგორც თვით ქიმიურ მრეწველობაში, ისე წარმოების სხვა დარგებშიც (მეტალურგია, ქვანახშირის, ნავთობის, ცემენტის, სატყეო მრეწველობა, ენერგეტიკა და ა. შ.).

ეს იქნება ნედლეულის რესურსების დიდი დამატებითი წყარო მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ეს გამოიწვევს საწარმოთა რენტაბელობის გადიდებას, ნედლეულის რესურსების ეკონომიას, აგრეთვე მსხვილი სამრეწველო საწარმოების თავმოყრის რაიონებში სანიტარული პირობების გაუმჯობესების საშუალება იქნება.

9. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს რა მეცნიერების უდიდეს როლს მძლავრი ქიმიური ინდუსტრიის შექმნაში, ავალებს ქიმიისა და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს, ქიმიისა და ნავთობის მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გააერთიანონ ქიმიის დარგში მომუშავე სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა მეცადინეობა იმისათვის, რომ შექმნან ახალი მასალები და უფრო ეფექტიანად მოქმედი პრეპარატები, გაადიდონ საწყისი პროდუქტების სიწმინდე, შეიმუშაონ უფრო მარტივი და ეკონომიური ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გამოვიყენოთ მაღალი წარმადობის მოწყობილობა, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ნედლეული, მინიმალური შრომითი და ენერგეტიკული დანახარჯებით ვაწარმოოთ მაღალხარისხოვანი ქიმიური პროდუქტები. ყველა ამ საკითხის გადაწყვეტას საფუძვლად უნდა დაედოს მეცნიერების უახლესი მიღწევები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სწრაფად დამთავრდეს უფრო ეფექტიანი სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, ახალ სახეობათა პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოების, სინთეზური კაუჩუკების, საღებრების, ლაქების, პიგმენტების წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება, გაუმჯობესდეს, ავტომობილის სალტეების, რეზინა-ტექნიკური ნაწარმისა და პლასტმასების ნაწარმის და სხვა ქიმიური პროდუქტების ხარისხი. ეს დამუშავება სწრაფად უნდა დაინერგოს წარმოებაში და უზრუნველყოს უმაღლესი ტექნიკური დონე ქიმიურ მრეწველობაში.

სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაობაში, უკეთესი პირობების შექმნისათვის განმტკიცდეს ინსტიტუტების, ლაბორატორიების საექსპერიმენტო ბაზა, უზრუნველყოფილ იქნას ისინი უახლესი მოწყობილობით და ქიმიურად წმინდა რეაქტივებით. ამაღლდეს ქარხანათა ლაბორატორიების როლი ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფაში, კვალიფიციური კადრებით მათი განმტკიცების გზით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეცნიერული კვლევისა და მრეწველობის უზრუნველყოფას ზუსტი ხელსაწყოებით, შეიქმნას მათი დასამზადებელი ბაზა პრეციზიული მოწყობილობით.

საჭიროა აგრეთვე გაძლიერდეს სამუშაოები ქიმიური ტექნოლოგიის საფუძვლებში: ქიმიური აპარატურის მუშაობის დროს ქიმიურ რეაქციათა მექანიზმის, ფიზიკური პროცესების კვლევისათვის, ტექნოლოგიური პროცესების მოდელირებისა და გაანგარიშებათა მეთოდების დახერგვისათვის გამოსათვლელი მანქანების გამოყენებით, რაც შესაძლებელს გახდის ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას ქიმიური ინდუსტრიის შექმნის დროს.

ჩვენი ხელმძღვანელი სამეცნიერო ორგანოები, მეცნიერების ყველა მუშაკი უნდა ითვალისწინებდნენ, რომ ისეთი დარგი, როგორიც არის ქიმია, ყველაზე გამარევოლუციურებელი დარგია, რომელიც გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მთელი ეკონომიკის განვითარებაზე. ამიტომ საჭიროა სრული გაქანება მიეცეს ქიმიის მეცნიერებას, აღმოიფხვრას ყველა ბიუროკრატიული დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის მის განვითარებას.

ამის გათვალისწინებით მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტმა, სახელმწიფო დარგობრივმა კომიტეტებმა მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ წარმოებაში მეცნიერების უახლეს მიღწევათა უსწრაფესად გამოყენების ორგანიზაციას და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ქიმიური მასალების დანერგვას.

10. გაძლიერდეს მუშაობა ქიმიური მრეწველობისა და ქიმიური მანქანათმშენებლობისათვის კადრების მოსამზადებლად. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, ქიმიური და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს გააფართოონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელი და გაიაღონ იქ მოსწავლეთა კონტინგენტი, შექმნან ერთიანი დაცვიანობის ძუშაპა მოსამზადებელი კუსსი [illegible] მრეწველობის პრაქტიკის სწავლება მოწინავე მონათესავე საწარმოებში.

11. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ქიმიური მრეწველობის განვითარების უდიდესი პროგრამის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ქიმიის განვითარებასთან დაკავშირებული მრეწველობის სხვა დარგების საწარმოთა კოლექტივების აქტიურ მონაწილეობაზე. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის საწარმოების სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა სანიმუშოდ ასრულებდნენ დავალებებს ქიმიისათვის. შავი და ფერადი მეტალურგიის, სათბობი მრეწველობისა და ენერგეტიკის მუშაკებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შეუფერხებლად უზრუნველყონ ქიმიური საწარმოები და ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხნები და მშენებლობანი ნაგლინისა და ლითონის ნაწარმის საჭირო სორტამენტით, სათბობითა და ელექტროენერგიით; მაქსიმალურად გამოიყენონ საწარმოებში არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი ქიმიურ წარმოებათათვის საჭირო ტექნოლოგიური ნედლეულისა და ნახევარპროდუქტების წარმოების გასადიდებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

12. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, ყველა პარტიულ ორგანიზაციას გამოიყენონ ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალება, ფორმა და მეთოდი იმისათვის, რომ ღრმად განუმარტონ მშრომელებს ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის დადგენილებები და მასალები. თვითეულმა საბჭოთა ადამიანმა უნდა შეიგნოს, რომ ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ პლენუმის მიერ დასახული პროგრამის განხორციელება საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია თვითეული მშრომელის მეცადინეობაზე. პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა ფართო შეჯიბრება ქიმიური ინდუსტრიის შემდგომი განვითარების პროგრამის შესრულებისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ქიმიური მასალების უნარიანად გამოყენებისათვის.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამას პარტია და ხალხი შეხვდებიან როგორც პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური მშენებლობისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის, მისი ძლიერების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი წლების განმავლობაში ჩვენმა სახელმწიფომ პირველად მიიღო შესაძლებლობა გამოჰყოს ესოდენ დიდი კაპიტალური დაბანდებანი წარმოების იმ დარგებისათვის, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან. ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარება ისე წარიმართა, რომ, ხელში აიღეს რა ძალაუფლება, მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი იძულებული იყვნენ მთელი ძალები და სახსრები მოეხმარებინათ მძიმე ინდუსტრიის შექმნისათვის. იმპერიალიზმთან ბრძოლაში რომ გაგვეძლო, წარმატებით რომ გვეშენებინა სოციალიზმი, საჭირო იყო გვქონოდა ლითონი, ქვანახშირი, ნავთობი, ყოველგვარი მანქანები. როგორც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა, მძიმე მრეწველობის შექმნისათვის ჩვენ იძულებული ვიყავით ეკონომია გაგვეწია ყველაფერზე, სკოლებზეც კი.

ჩვენმა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა პირველხარისხოვანი მძიმე მრეწველობა. ახლა საბჭოთა ქვეყანას, რომელიც კვლავ ავითარებს მძიმე ინდუსტრიას, შეუძლია უდიდესი სახსრები მოახმაროს ქიმიის, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობის განვითარებას, რათა ხალხის მზარდ მოთხოვნილებათა უშუალო დაკმაყოფილებისათვის ვაწარმოოთ მეტი სურსათი და ფართო მოხმარების საგნები. საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტა მტკიცე საფუძველზე დგება.

ყველა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, სამეცნიერო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა თავიანთი ღონისძიებანი უნდა წარმართონ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების, ქიმიური ინდუსტრიის განვითარების გეგმების შესასრულებლად.

ქიმიური ინდუსტრიის შექმნაში დიდი როლი ეკუთვნის ჩვენს ახალგაზრდობას, კომკავშირს. ქიმია მრეწველობის ისეთი დარგია, რომელიც მოითხოვს ენერგიულ, განათლებულ, მიზანდასახულ ადამიანებს. კომკავშირმა, ყველა საბჭოთა ქალიშვილმა და ჭაბუკმა თავიანთ წრეში უნდა გამოახონ ქიმიური მშენებლების ენთუზიასტები. კომკავშირმა, ახალგაზრდობამ უნდა შეაკაზოს დიდი ქიმიისათვის საჭირო მუშების, ინჟინერ-ტექნიკური კადრების რიგები. მძლავრი ქიმიური ინდუსტრიის შექმნა კომუნისტური მშენებლობის დამკვრელური ფრონტია, მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დარწმუნებულია, რომ სამრეწველო პარტიული ორგანოები უნაყოფოდ ჩაუდგებიან სათავეში ქარხნებისა და ფაბრიკების, მშენებლობების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციების კოლექტივებს, შეძლებენ განახორციელონ პარტიის გადაწყვეტილებანი და უზრუნველყონ სამრეწველო განვითარების გეგმების შესრულება.

ახალი დიდი ამოცანები დგას სოფლის პარტიული ორგანიზაციების წინაშე. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა განხორციელდება წარმოების ინტენსიფიკაციის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების, თვითეულ ჰექტარ მიწაზე მარცვლისა და ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდების საფუძველზე. ითვალისწინებენ რა ამას, პარტიულმა ორგანიზაციებმა საქმის უფრო მეტი ცოდნით, უფრო უნარიანად უნდა განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობა, მთელი თავიანთი მეცადინეობა წარმართონ იმ ახალ შესაძლებლობათა უკეთ გამოყენებისათვის, რომლებსაც ქიმია სახავს სოფლის მეურნეობის წინაშე.

თანამედროვე პირობებში ცხოვრება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უფლებას გვაძლევს ლენინის ფორმულას — კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია — დავუმატოთ დებულება მთელი სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის შესახებ. ახლა ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ: კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია, პლუს სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია.

ჩვენი ქვეყანა მტკიცედ მიდის წინ დიდი ლენინის მიერ დასახული გზით.

განხორციელება ქიმიური ინდუსტრიის განვითარების გეგმისა, რომელიც პარტიამ დასახა, ახალი მნიშვნელოვანი წვლილი იქნება კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, ყველა საბჭოთა ადამიანს კიდევ უფრო თავდადებით იშრომონ შვიდწლედის გეგმის შესრულებისათვის, XXII ყრილობის გადაწყვეტილებების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

(დასასრული)

დეპუტატი, რომლებიც დღეს შეიკრიბნენ კრემლში სესიაზე. სესიის მუშაობის დაწყების წინ დეპუტატებს შორის გაიმართა აზრთა გაცვლა-ფიქრები. ხალხის წარმომადგენლებს დიდად აინტერესებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა რაც შეიძლება მალე განხორციელების პრობლემები.

კურანტებმა მაცხოვრის კოშკზე ათჯერ დაკრეს. იწყება პალატების სხდომები. კრემლის დიდ სასახლეში — კავშირის საბჭოსი, კრემლის თეატრში — ეროვნებათა საბჭოსი. ცალ-ცალკე სხდომებზე ორივე პალატამ ერთხმად დაამტკიცა სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დღის წესრიგი:

1. სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმა.

2. სსრ კავშირის 1964-1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

11 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილებს იკავებენ კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. სპირიდონოვი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პეიკეი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები მ. ა. აბდურაზაკოვი, შ. მ. ბასანოვა, კ. ი. სატპაევი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ხ. ბეგმატოვა, ი. ა. კაიროვი, ა. ე. კორნეიჩუკი, შ. ა. სურგანოვი.

დეპუტატები და სტუმრები მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ლოჟებში შემოსულ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. პორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, ო. ვ. კუსინენს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ვ. პოდგორნს. დ. ს. კოლიანსკის, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, ვ. ვ. გრიშინს, ლ. ნ. ეფრემოვს, კ. ტ. მაზუროვს, შ. რ. რაშიდოვს, პ. ე. შელეხეს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. თ. ილიჩოვს, ვ. ი. პოლიაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ვ. ნ. ტიხონოვს, ა. ნ. შელეპინს.

თავმჯდომარე ი. ვ. სპირიდონოვი აცხადებს, რომ სესიას ესწრება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ი. გენდრიხის მეთაურობით. დეპუტატები და სტუმრები გულითადად მიესალმებიან მომქმედ ხალხის წარმომადგენლებს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. თ. ლომაკომ.

სსრ კავშირის 1964-1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის სიტყვა

ამხანაგებო! ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოხსენებაში ამ პლენუმზე ამომწურავი სისრულით დახასიათებულია ქიმიური ინდუსტრიის ახლანდელი მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში, მხილებულია ამ დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და დასახულია ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კონკრეტული მიმართულებანი და პროგრამა. ქიმიური მრეწველობის განვითარება და სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის საქმიანობის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია ამჟამად. იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და წარმატებით წავწევთ წინ ქიმიურ მრეწველობას, განსაკუთრებით მინერალური სასუქის, სინთეზური ბოჭკოებისა და პლასტიკური მასების წარმოებას, ბევრად იქნება დამოკიდებული კომუნისტური მშენებლობის ძირითადი ამოცანის წარმატებით გადაჭრა — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

სახალხო მეურნეობის ისეთი პროგრესული დარგი, როგორიცაა ქიმიური მრეწველობა, წარსულში ჯეროვნად ვერ განვითარდა საქართველოს სს რესპუბლიკაში. 1958 წლამდე რესპუბლიკაში იყო მხოლოდ ორი შედარებით მსხვილი საწარმო — ჭუთაისის ლითოფონის ქარხანა და რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, რომელიც 1956 წელს ჩადგა წყოობაში. ქიმიური მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ხვედრითი წონა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში მცირე იყო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წლის) პლენუმმა დასაბამი მისცა ქიმიური მრეწველობის სწრაფ განვითარებას რესპუბლიკაში. საქართველოს სსრ შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული იყო დიდი ქმიის მთელი რიგი ახალი ობიექტების შენებლობა — ისეთების, როგორიცაა კაპროლაქტამის წარმოება, სინთეზური ბოჭკოს ქარხანა, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოება, აგრეთვე უკვე არსებულ საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეების გადიდება. მინდა მოვახსენო პლენუმს, რომ ეს პროგრამა წარმატებით სრულდება. მარტო 1963 წელს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში დაწესებულ ვადებში ამუშავდა აზოტმეჟავაკი, ამიაკისა და ამონიუმის გვარჯილის საწარმო დამატებითი სიმძლავრეები. ამან საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვედიდებინა აზოტოვანი სასუქების წარმოება. 1963 წელს წარმოებულ იქნება თითქმის ორჯერ მეტი ამონიუმის სულფატი, ვიდრე 1958 წელს.

თუმცა დაგვიანებით, რის გამოც სწორად გვისაყვედურა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში, მაგრამ პლენუმის გახსნის წინ დამთავრდა კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, უკვე გამოშვებულია რამდენიმე ათეული ტონა კაპროლაქტამი და ამჟამად მიმდინარეობს ტექნოლოგიური პროცესის ათვისება და სრულყოფა (ტაში). მწყობრში ჩადგა სინთეზური ბოჭკოს ქარხნის საცდელი წარმოება და დარიშხანის პრეპარატების საამქრო. წლის ბოლომდე უზრუნველყოფილ შაბამნის გამოშვების გადიდებას, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების სიმძლავრეთა ამუშავებას, რომლებსაც, მე ვიტყოდი, პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ქიმიის განვითარებასთან. ეს არის ხრამის 112 ათასი კილოვატი სიმძლავრის № 2 ჰიდროელექტროსადგურის ამუშავება, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პირველი რიგი, რომლის სიმძლავრეა 150 ათასი კილოვატი, უნდა ვიფიქროთ, დამთავრდება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ორი ღუმელის მონტაჟის სამუშაოები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებით აღფრთოვანებული ჩვენი მშენებლები, ქიმიკოსები და მემონტაჟეები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დაწესებულ ვადებში ამუშაონ დიდი ქიმიის ობიექტები და, კერძოდ, სინთეზური ბოჭკოს დიდი ქარხანა ქალაქ რუსთავში. ამ ქარხნის ამუშავებით რესპუბლიკაში შეიქმნება ქიმიური ინდუსტრიის ახალი დარგი — სინთეზური ბოჭკოების მრეწველობა, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საქართველოში და მთლიანად ამიერკავკასიაში საფეიქრო მრეწველობის შემდგომ განვითარებაში. დამთავრდება ქუთაისის ლითოფონის ქარხნის გაფართოების სამუშაოები, აგრეთვე ამუშავდება მთელი რიგი ახალი საამქროები. ახალ საწარმოთა მშენებლობისა და ამჟამად მოქმედ საწარმოთა გაფართოების შედეგად ქიმიური მრეწველობის მთლიანი პროდუქცია რესპუბლიკაში 1965 წელს 1958 წელთან შედარებით ერთი ნახევარად და მეტად გადიდდება.

სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ამოცანების, ეკონომიური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით ჩვენ მოვამზადეთ წინადადებანი რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების შესახებ 1966-1970 წლებში. ეს წინადადებები ეფუძნება იმას, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ბუნებრივი გაზის რესურსები, აგრეთვე ჩვენში არსებული მინერალური ნედლეული და სხვა პოტენციური რესურსები — ისეთები, როგორიცაა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის გაზები, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოქსის გაზი და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წარმავალი გაზები.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია ჩვენი რესპუბლიკისათვის ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ისეთი კულტურების წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებას, როგორიცაა ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ეთერზეთოვნები, ყურძენი და ხილი. ეს კულტურები, განსაკუთრებით ჩაი და ციტრუსები, მოითხოვენ მინერალური სასუქების შეტანის დიდ ნორმებს, მაგრამ ამასთანავე სასუქები დიდადაც ზრდის მათ მოსავლიანობას. მაგალითად, ჩაის უხვი მოსავალი რომ მივიღოთ, საჭიროა ჰექტარზე შევიტანოთ 25 ცენტნერი მინერალური სასუქი, აქედან 70 პროცენტი აზოტიანი სასუქი.

სუბტროპიკებში მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების უდიდეს ეფექტიანობას გვიჩვენებს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება. მაშინ როცა სასუქების შეუტანლად ჩაის პლანტაციებში ხარისხოვანი ფოთლის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 10-12 ცენტნერს არ აღემატება, თუ სავსებით უზრუნველყოფთ სასუქებით და განვახორციელებთ საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებებს, საშუალო მოსავლიანობა მიაღწევს 40 ცენტნერს, ხოლო ცალკულ მოწინავე მეურნეობებში — 50-70 ცენტნერს ჰექტარზე.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა მარცვლის, განსაკუთრებით ხორბლის, სიმინდისა და სხვა კულტურების წარმოების გადიდებისათვის. ეს შეგვიძლია განვახორციელოთ ისე, რომ არ მივაყენოთ ზიანი ძირითადი ტექნიკური კულტურების წარმოებას. 1963 წელს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 12 მილიონზე მეტი ფუთი მარცვალი. ჩვენს პირობებში, თუ სასუქების სრულ ნორმას შევიტანთ ხორბლის, განსაკუთრებით „უფხო-1“ ჯიშის ხორბლის ნათესებში, სარწყავ მიწებზე შეგვიძლია მივიღოთ 45-50 და მეტი ცენტნერი გარანტირებული მოსავალი, ხოლო ურწყავ, მაგრამ დატენიანებულ ნიადაგში — 25-30 ცენტნერი ჰექტარზე. კიდევ უფრო გაიზრდება სიმინდის მოსავალი. სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ მიწებზე, თუ სასუქებს შევიტანთ, სიმინდის მოსავალი ერთიორად და ერთისამად გადიდდება. ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობაში, რომლის თავმჯდომარე ამხ. ყოჩიაშვილი ესწრება ამ პლენუმს, ურწყავ მიწებზე ყნოს მიიღეს 30 ცენტნერი მარცვალი ორი ათას ჰექტარზე მეტი ნათესის საშუალოდ ჰექტარზე. ეს იმას მოწმობს, რომ სარწყავ მიწებზე სასუქის შეტანით შეგვიძლია მივიღოთ 50-60 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე.

სარწყავი მიწათმოქმედება მარცვლის წარმოების გადიდების დიდი რეზერვია რესპუბლიკაში.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის რჩევით, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე გამოთქვა, 1964 წლის მოსავლისათვის გამოვყავით 130 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები, ხოლო ახალი სარწყავი სისტემების ამოქმედების კვალობაზე ვფიქრობ 1966-1970 წლების განმავლობაში გამოვყოთ კიდევ დაახლოებით 150 ათასი ჰექტარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ უახლოეს წლებში მარცვლეული კულტურების ნათესებს უზრუნველვყოფთ მინერალური სასუქების სრული ნორმით და ამასთან მაქსიმალურად გამოვიყენებთ სარწყავ მიწებს, მარცვლის წარმოება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1970 წლისათვის შეიძლება გავზარდოთ 100-110 მილიონ ფუთამდე ნაცვლად 1963 წელს წარმოებული 43 მილიონი ფუთისა.

უაღრესად ხელსაყრელი და ეკონომიურად გამართლებულია აზოტოვანი სასუქების წარმოება, უმთავრესად გაზის ნედლეულისაგან, მოვაწყოთ არსებული გაზსადენი ქსელის ბაზაზე მოხმარების ადგილებში. ამისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილებანი მინერალურ სასუქებზე, მიზანშეწონილია რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხანაში ავამოქმედოთ დამატებითი სიმძლავრეები, რომლებიც გამოუშვებენ აზოტოვან სასუქებს ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის მოთხოვნილებებს. ვერ დავაკმაყოფილებთ ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილებას ფოსფორიან სასუქებზე უანლოესი ეკონომიური რაიონებიდან ამ სასუქების შემოზიდვით. ამ სასუქების — სუპერფოსფატის ან რთული შერეული სასუქების წარმოება შეიძლება წარმატებით მოვაწყოთ ადგილზე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გოგირდმჟავა ამ წარმოებისათვის შეიძლება მივიღოთ პირიტის კონცენტრატებისაგან, რომლებიც გარდუვალად წარმოიქმნება მადნეულის საბადოს სპილენძპირიტიანი ან მრავალლითონიანი მადნების გამდიდრებისას. მიზანშეწონილია ამ საყრისი ნედლეულის ბაზაზე მოვაწყოთ გოგირდმჟავას წარმოება, რაც უზრუნველყოფს ფოსფორიანი სასუქების წარმოების ორგანიზაციას.

რესპუბლიკის წინადადებებში 1966-1970 წლებისათვის დასახულია აგრეთვე გავაფართოოთ კაპროლაქტამის წარმოება რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში, მოვაწყოთ მანგანუმის სუფთა შენაერთებისა და სხვა ქიმიური რეაქტივების, ორგანული მინის, კარბამიდული და პოლიამიდური ფისების, ბელამინის წარმოება. დასახულია აგრეთვე რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის გაფართოება. ასეთი გაფართოების საჭიროება ნაკარნახევია იმით, რომ კაპროლაქტამის გადამუშავება ეკონომიურად მიზანშეწონილია ადგილზე, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. გარდა ამისა, საკითხის ასეთი გადაჭრისას დაგვჭირდება დაახლოებით 30 პროცენტით ნაკლები კაპიტალური ხარჯები, ვიდრე ახალი ქარხნის შენებლობისას.

ქიმიური მრეწველობისათვის ამა თუ იმ სახეობის ნედლეულის გამოყენება განისაზღვრება ეკონომიური რაიონის კონკრეტული პირობებით. ჩვენს რესპუბლიკაში ადგილობრივი ნედლეულის დიდი წყაროა წარმავალი გაზები, რომლებიც წარმოიშვება ფერომანგანუმისა და სილიკომანგანუმის წარმოების დროს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დახურულ ღუმელებში. ამ გაზებისაგან, რომლებიც უხვად შეიცავენ ნახშირჟანგს, შეიძლება ვაწარმოოთ ორგანული სინთეზის დიდმნიშვნელოვანი ქიმიური პროდუქტები. მაგრამ ეს საკითხი ჯერჯერობით ვერ გადაიჭრა დადებითად, მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში ასეთ გაზებს წარმატებით იყენებენ ძვირფასი ქიმიური პროდუქტების მისაღებად. უნდა გავითვალისწინოთ, რომ წარმავალი გაზების გამოყენება ფეროშენადნობთა მრეწველობაში მარტო ზესტაფონის ქარხნით როდი განისაზღვრება, რადგან ჩვენი ქვეყნის ყველა ქარხანაში ამუშავდება დახურული ღუმელები და ამიტომ წარმავალმა გაზებმა, უეჭველია, უნდა პოვონ შესაბამისი გამოყენება. ქიმიური მრეწველობის ამ იაფი და ძვირფასი ნედლეულის უგულებელყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ქიმიური და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა დაავალა აზოტის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტს შეისწავლოს რესპუბლიკის წინადადებანი ამ საკითხზე და შესაბამისი რეკომენდაციები მოამზადოს. სასურველია დაჩქარდეს მუშაობა, რათა გავითვალისწინოთ წარმავალი გაზები საერთო რესურსებში 1966-1970 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის შემუშავების დროს.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ქიმიის მეცნიერების განვითარებას. საყოველთაო მოწონება პოვა მისმა მითითებებმა, რომ უნდა გაიზარდოს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა როლი ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარების ამოცანათა გადაჭრაში. მინდა მოგახსენოთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შემდეგ რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში მრეწველობის მუშაკებთან თანამეგობრობით შესრულდა დადებითი მუშაობა ახალ სახეობათა ნედლეულის გამოძებნისათვის, ორგანულ-მინერალური და მაღალეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ ქიმიური მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კიდევ უფრო წარმატებით განვითარებას. მინდა შევეხო ზოგიერთ საკითხს, რომელთა მნიშვნელობა, როგორც ვფიქრობთ, სცილდება რესპუბლიკის ფარგლებს და საინტერესოა მთელი ჩვენი ქვეყნისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და სამთო საქმის ინსტიტუტებმა გადაჭრეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რომ გაამდიდრონ ტყიბულის ლიპტობოლითური ქვანახშირები და ფიქლები და მიიღონ მათგან პრესფხვნილი პლასტიკური მასების წარმოებისათვის.

გამოკვლევებმა და საცდელ-საწარმოო სამუშაოებმა ცხადყო, რომ ამ სახეობის იაფი ნედლეულისაგან მიღებულ წნეხფხვნილს შეუძლია თითქმის 50 პროცენტით შეცვალოს დიდად დეფიციტური ფენოლის წნეხფხვნილები, ამასთან 3-4-ჯერ იაფი ჯღები. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ტყიბულის ლიპტობოლითური ქვანახშირისა და ფიქლის მარაგი პრაქტიკულად ულვია, ხოლო წნეხფხვნილებზე უდიდესი მოთხოვნილებაა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ბაზაზე მოვაწყოთ გოგირდმჟავას წარმოება, რაც უზრუნველყოფს ფოსფორიანი სასუქების წარმოების ორგანიზაციას.

რესპუბლიკის წინადადებებში 1966-1970 წლებისათვის დასახულია აგრეთვე გავაფართოოთ კაპროლაქტამის წარმოება რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში, მოვაწყოთ მანგანუმის სუფთა შენაერთებისა და სხვა ქიმიური რეაქტივების, ორგანული მინის, კარბამიდული და პოლიამიდური ფისების, ბელამინის წარმოება. დასახულია აგრეთვე რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის გაფართოება. ასეთი გაფართოების საჭიროება ნაკარნახევია იმით, რომ კაპროლაქტამის გადამუშავება ეკონომიურად მიზანშეწონილია ადგილზე, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. გარდა ამისა, საკითხის ასეთი გადაჭრისას დაგვჭირდება დაახლოებით 30 პროცენტით ნაკლები კაპიტალური ხარჯები, ვიდრე ახალი ქარხნის შენებლობისას.

ქიმიური მრეწველობისათვის ამა თუ იმ სახეობის ნედლეულის გამოყენება განისაზღვრება ეკონომიური რაიონის კონკრეტული პირობებით. ჩვენს რესპუბლიკაში ადგილობრივი ნედლეულის დიდი წყაროა წარმავალი გაზები, რომლებიც წარმოიშვება ფერომანგანუმისა და სილიკომანგანუმის წარმოების დროს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დახურულ ღუმელებში. ამ გაზებისაგან, რომლებიც უხვად შეიცავენ ნახშირჟანგს, შეიძლება ვაწარმოოთ ორგანული სინთეზის დიდმნიშვნელოვანი ქიმიური პროდუქტები. მაგრამ ეს საკითხი ჯერჯერობით ვერ გადაიჭრა დადებითად, მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში ასეთ გაზებს წარმატებით იყენებენ ძვირფასი ქიმიური პროდუქტების მისაღებად. უნდა გავითვალისწინოთ, რომ წარმავალი გაზების გამოყენება ფეროშენადნობთა მრეწველობაში მარტო ზესტაფონის ქარხნით როდი განისაზღვრება, რადგან ჩვენი ქვეყნის ყველა ქარხანაში ამუშავდება დახურული ღუმელები და ამიტომ წარმავალმა გაზებმა, უეჭველია, უნდა პოვონ შესაბამისი გამოყენება. ქიმიური მრეწველობის ამ იაფი და ძვირფასი ნედლეულის უგულებელყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ქიმიური და ნავთობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა დაავალა აზოტის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტს შეისწავლოს რესპუბლიკის წინადადებანი ვზოგოთ რამდენიმე მილიონი მანეთი. ინსტიტუტმა შეიმუშავა აგრეთვე მცენარეული ნედლეულისაგან ახალი სახეობის ორგანულ-მინერალური პრეპარატების მიღების ტექნოლოგია. ამ პრეპარატების საწარმოო პირობებში გამოცდამ გვიჩვენა მათი ეფექტიანობა ვაზისა და ხეხილის ქლოროზთან ბრძოლაში. საჭიროა სასწრაფოდ ავაშენოთ საცდელ-სამრეწველო დანადგარი ასეთი პრეპარატების წარმოებისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს მოვაწყოთ მათი უფრო ფართო გამოცდა სოფლის მეურნეობაში და ამ ძვირფასი პრეპარატების შემდგომი სამრეწველო წარმოება.

პრაქტიკული ინტერესი აქვს კალიუმის პერმანგანატისა და აქტიური მანგანუმის ორჟანგის მიღების ახალ წესს, რომელიც რესპუბლიკის ქიმიკოსებმა შეიმუშავეს. უახლოეს დროში დამთავრდება დაპროექტება და დაიწყება სოფლის მეურნეობისათვის ამ დიდმნიშვნელოვანი პროდუქტების საწარმოთა მშენებლობა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება კალიუმის პერმანგანატზე და უზრუნველვყოთ ელექტროლიტური მრეწველობის შემდგომი განვითარება ხელოვნური აქტიური მანგანუმის ორჟანგის ბაზაზე.

ხანგრძლივმა ვეგეტაციურმა და მინდვრის სტაციონარულმა საცდელმა სამუშაოებმა, რაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის კათედრამ საწარმოო პირობებში განახორციელა ყავისფერ, მუქ ყავისფერ და ალუვიურ ნიადაგების გამოსაცდელად, ცხადყო, რომ მინერალურ სასუქებთან ერთად მანგანუმის შლამის სახით ჰექტარზე 16-50 კილოგრამი მიკროსასუქის შეტანისას ყურძნის მოსავლიანობა საშუალოდ 10-12 ცენტნერით იზრდება, შაქრის ჭარხლისა — 44-60 ცენტნერით, ბოსტნეული კულტურებისა — 60-90 ცენტნერით ჰექტარზე. გადიდდა აგრეთვე სიმინდისა და საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობა. მომავალ წელს ჭითურას გამამდიდრებელ ფაბრიკაში დამთავრდება მანგანუმის შლამის მისაღები მოწყობილობის შენებლობა, რაც საშუალებას გვაძლევს მთლიანად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოთხოვნილება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მიკროსასუქები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩვენი ქვეყნის სხვა სასოფლო-სამეურნეო რაიონებშიც. არსებული ნედლეულის რესურსები საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად გავადიდოთ მშენებარე დანადგარის სიმძლავრე.

ახლა მთავრდება საცდელ-სამრეწველო დანადგარის მშენებლობა სოკომსპობი პრეპარატის — გოგირდბენზონიტის მიღებისათვის თერმულად დამუშავებული ოთხი წილი ბენზონიტის თიხისა და ერთი წილი სუფთა გოგირდის ნარევისაგან. ამ პრეპარატის მიღების ტექნოლოგია შეიმუშავა კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტმა. პრეპარატი მთლიანად ცვლის სუფთა გოგირდს, რასაც მემცენარეობაში იყენებენ, ხოლო ჯერ ამცირებს მის ხარჯს იმავე ეფექტიანობის დროს. იმის გამო, რომ საქართველოში ბენზონიტის თიხის მნიშვნელოვანი მარაგია, მიზანშეწონილია მოვაწყოთ გოგირდბენზონიტის წარმოება იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას.

პერსპექტიულია რესპუბლიკის ქიმიკოსთა ის სამუშაოები, რომ გამოავლინონ და დაამუშაონ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების — ახალი სახეობის ლუმინოფორების, ეფექტიანი ინსექტიციდების კომპლექსებისა — და სახალხო მეურნეობისათვის, სხვა ... ვანი ქიმიკატების ... ბა.

მიუხედავად იმისა, რომ ქიმიურმა მეცნიერებამ ჩვენს რესპუბლიკაში მოიპოვა გარკვეული წარმატებანი, ჯერჯერობით მთლიანად ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ საჭიროებებს. ეს ნაწილობრივ იმით უნდა ავხსნათ, რომ ლაბორატორიები და ექსპერიმენტული ბაზები, საკმარისად არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით. ჩვენი ქიმიკოსები ჯერ კიდევ ცოტას მუშაობენ ორგანული სინთეზის დარგში.

ამხანაგებო! ქიმიური მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის განვითარების იმ გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც მოცემულია ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოხსენებაში, საჭირო იქნება პარტიული, საბჭოთა, საგეგმო და სამეურნეო ორგანიზაციების, მთელი ხალხთა ძალ-ღონის მობილიზაცია. ისე უნდა გავუძღვეთ საქმეს, რომ ცენტრშიც და ადგილებზეც დაუყოვნებლივ და ოპერატიულად ვწყვეტდეთ იმ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება ახალი ქიმიური საწარმოების სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების პროცესში, ამჟამად არსებული ქიმიური საწარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოების პროცესში.

საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, რომლებიც აფერხებენ ქიმიური მრეწველობის წარმატებით განვითარებას. ასეთი ნაკლოვანებანი კი ჯერჯერობით ცოტა როდია.

საპროექტო ორგანიზაციების მუშაობაში რომ სერიოზული ნაკლოვანებანია, ამაზე ბევრი ილაპარაკეს ჩემს წინ გამოსულმა ორატორებმა. როგორც ჩანს, ახლა ... საპროექტო ორგანიზაციების შესაძლებლობანი ვეღარ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. მიზანშეწონილია განვიხილოთ საკითხი, რომ შეიქმნას ახალი საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტები ზოგიერთ ეკონომიურ რაიონში, სადაც გათვალისწინებული დიდ ქიმიურ საწარმოთა მშენებლობა. ამასთანავე საჭიროა გავაუმჯობესოთ ასამუშავებელ-გასამართავ სამუშაოთა ორგანიზაცია და ამ სამუშაოთა უზრუნველყოფის პრაქტიკული ფორმები ახალ რთულ ქიმიურ საწარმოებში. ახალ სიმძლავრეთა ათვისება ხშირად ჭიანურდება იმის გამო, რომ არ არის შექმნილი, ან ცოტაა სპეციალიზებული ორგანიზაციები, რომლებმაც უნდა შეასრულონ ასამუშავებელ-გასამართავი სამუშაოები. საჭიროა განვამტკიცოთ ასეთ ორგანიზაციათა სისტემა და შევქმნათ ახალი ორგანიზაციები, რომლებსაც უნდა დავაკისროთ ასამუშავებელ-გასამართავი სამუშაოები. საჭიროა დავამყაროთ ისეთი წესრიგი, როცა ამ ორგანიზაციებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებთან ერთად, დაეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ აითვისონ ნორმალური ტექნოლოგიური პროცესი უკვე აშენებულ საწარმოებში.

ამხანაგებო! ნება მომეცით აღვუთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმსა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომ საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი, თავიანთ ძალ-ღონესა და ენერგიას მოახმარენ ჩვენი ქვეყნის ქიმიზაციის დიდი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლას. (ტაში).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეკუტატ პ. თ. ლომაკოს მოხსენება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიტანილს უმაღლესი საბჭოს განსახილველად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის პროექტი, თქვა ამხ. ლომაკომ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ესკიზის საფუძველზე, რომელიც ... ...

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ

(დასასრული)

ბის გამოშვება ერთნახევარჯერ და უფრო მეტად, გაფართოვდეს სპეციალიზებული ქარხნების სიმძლავრეები. ათვისებულ იქნება 145 სახეობის დიდი წარმადობის ქიმიური და ნავთობის მოწყობილობა.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის გამოშვებულ იქნება გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ვიდრე შვიდწლიანი გეგმით არის დასახული. მაგალითად, ორ წელიწადში ჩვენი მრეწველობა დაამზადებს 700 ათასზე მეტ ტრაქტორს, აქედან სოფლის მეურნეობისათვის — 540 ათასზე მეტს.

მანქანათმშენებლობაში ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებაა დიდი სიმძლავრის მანქანების წარმოება, რაც საშუალებას გვაძლევს შევამციროთ მანქანის ხვედრითი წონა, ავრეთვე კაპიტალური ხარჯები და მასალების ხარჯვა სიმძლავრის ერთეულზე.

სატყეო, ცელულოზა-ქაღალდისა და ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში მთავარი მიმართულება ამბობს შემდეგ მომხსენებელი, მერქნის ქიმიური გადამუშავების შემდგომი სწრაფი ზრდა და მისი ნარჩენების უკეთესი გამოყენება, რასაც დიდი ყურადღება მიაქცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა. მაგალითად, ცელულოზის წარმოება ორი წლის განმავლობაში 34 პროცენტით გაიზრდება, ქაღალდისა და მუყაოსი — 30 პროცენტით მერქნის დამზადების უმნიშვნელოდ გადიდებით.

1964-1965 წლების გეგმაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი **მსუბუქ და კვების მრეწველობის** განვითარებას. ორი წლის განმავლობაში ქსოვილების წარმოება 600 მილიონი მეტრით გაიზრდება. განსაკუთრებით გაიზრდება იმ ნაწარმის გამოშვება, რომელიც მოსახლეობის ყველაზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს. ტრიკოტაჟის ნაწარმის, ლამაზი და სახმარად მოსახერხებელი ნაწარმის გამოშვება 33 პროცენტით გაიზრდება, შალისა და შალნარევი ზედა ტრიკოტაჟისა — 58 პროცენტით, სწრაფად განვითარდება უქსოვი მასალების წარმოება.

სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის ფართო ასორტიმენტის წარმოებისათვის დიდ შესაძლებლობებს სახავს ქიმიური მრეწველობის განვითარება. გათვალისწინებულია აწარმოონ დიდი რაოდენობით ქსოვილები ლავსანის, ნიტრონის გამოყენებით, ლამბდის ქსოვილები, განსაკუთრებით კაპრონისა. ხუთჯერ გაიზრდება ელასტიკური ნართის წინდების გამოშვება.

ტყავის ფეხსაცმლის წარმოება 1965 წელს 470 მილიონ წყვილს მიაღწევს. სულ უფრო მეტი რაოდენობით გამოიყენებენ ლამაზი ფერის ხელოვნურ მასალებს რელიეფური ტკიცვრით, აგრეთვე მსუბუქ მიკროფორიან ლანჩას.

დასახულია ამოცანა უახლოეს წლებში გადავჭრათ მაცივრებზე მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების პრობლემა. მათზე მოთხოვნილებას ჯერ კიდევ ვერ ვაკმაყოფილებთ. მაცივრების წარმოება 1965 წელს თითქმის 1.800 ათასს მიაღწევს, ესე იგი დაახლოებით ერთნახევრად გაიზრდება.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიდი ღონისძიებების განხორციელება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საშუალებას მოგვცემს გავადიოთ სასურსათო პროდუქტების წარმოება, კერძოდ, ჭარხლისაგან შაქრის წარმოება ორი წლის განმავლობაში 51 პროცენტით გაიზრდება, მცენარეული ზეთისა — 22 პროცენტით.

სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების შემდგომი განვითარებისათვის გამოყოფილია დიდი სახსრები. კაპიტალური დაბანდების მოცულობა მსუბუქ, სასურსათო და თევზის მრეწველობაში 1964-1965 წლებში 3 მილიარდ 335 მილიონ მანეთს შეადგენს, ანუ 53 პროცენტით გაიზრდება წინა ორ წელთან შედარებით.

კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი ძირეული საკითხია, როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, გახაორძო ამბ. ლომაკომ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი აღმავლობა იმ დონემდე, რომელიც მთლიანად დაკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე და მრეწველობისას — სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში მკაფიოდ ნაჩვენებია თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობის განვითარების გენერალური ხაზი — წარმოების ინტენსიფიკაცია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება. ამ ხაზმა სრული ასახვა ჰპოვა 1964-1965 წლების **სოფლის მეურნეობის** განვითარების გეგმაში. გათვალისწინებულია დიდად გაიზარდოს მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება და სოფლის მეურნეობისათვის მიწოდება. 1964 წელს სოფლის მეურნეობა მიიღებს 22 მილიონ ტონამდე მინერალურ სასუქებს, ხოლო 1965 წელს — 30 მილიონზე მეტ ტონას. სასუქების უფრო ეფექტიანი გამოყენების მიზნით მათ გამოჰყოფენ მიზნობრივი დანიშნულებით ბამბის, შაქრის ჭარხლის, მარცვლეულისა და სხვა კულტურების ნათესებში შესატანად, ამასთან უპირატესად იმ რაიონებისათვის, სადაც მათი გამოყენება მოსავლის ყველაზე დიდ მატებას მოგვცემს.

როგორც უკვე აღინიშნა, გეგმით გათვალისწინებულია მკვეთრად გაძლიერდეს სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვა ტრაქტორების, ნიადაგის დასამუშავებელი, სათესი და მოსავლის ასაღები მანქანების, მიწასათხრელი ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, საშენი მასალების მიწოდების გზით.

ყველა ეს ღონისძიება, აგრეთვე სარწყავი მიწათმოქმედების გაფართოება საშუალებას გვაძლევს დავგეგმოთ მარცვლის საერთო მოსავალი მოკავშირე რესპუბლიკების წინადადებათა საფუძველზე 1964 წელს — 10,2 მილიარდი ფუთი და 1965 წელს — 10,6 მილიარდი ფუთი, ესე იგი შვიდწლედის გეგმის დონით.

მეცხოველეობის განვითარების დარგში გათვალისწინებულია პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდება და მისი სულადობის ზრდა. დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა მეცხოველეობის საკვები ბაზის გაფართოება.

მომხსენებელმა თქვა, რომ კაპიტალური დაბანდება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ორი წლის განმავლობაში 11,5 მილიარდი მანეთი იქნება (შვიდწლედის გასული ოთხი წლის განმავლობაში დაბანდებული იყო 10 მილიარდი მანეთი).

საჭიროა მივაღწიოთ იმას, თქვა ამხ. ლომაკომ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი უზარმაზარი სახსრები ყაირათიანად, უნარიანად, მაქსიმალური ეფექტით გამოვიყენოთ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მარცვლის შესყიდვის დასახული მოცულობა — 4,1 მილიარდი ფუთი 1964 წელს და 4,2 მილიარდი ფუთი 1965 წელს — შეესაბამება შვიდწლედის გეგმის დავალებებს და უზრუნველყოფს სახელმწიფოს მოთხოვნილებას პურზე მოსახლეობის მომარაგებისა და სხვა საჭიროებისათვის. ამავე დროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საჭირო რაოდენობით დარჩება სათესლე მარცვალი კოლმეურნეებისათვის მისაცემად, აგრეთვე საფურაჟე მარცვალი მეცხოველეობისათვის. გაიზრდება სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების: შაქრის ჭარხლის, ზეთოვანთა თესლის, ხამი ბამბის, სელის ბოჭკოს, კარტოფილის, ბოსტნეულის, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა.

მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე ყველა სახეობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარების პერსპექტივებზე.

ამხ. ლომაკომ დიდი ყურადღება დაუთმო კაპიტალურ მშენებლობას — გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

გეგმის შემუშავებას საფუძვლად დაედო კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის ახალი პრინციპები, რომლებიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წამოაყენა. დიდი ყურადღება ეთმობა რა კონკრეტული ობიექტების კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვას, 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმაში მნიშვნელოვნად გაზრდილია რაოდენობა მშენებლობების სატიტულო ნუსხებისა, რომლებსაც მთავრობა ამტკიცებს. 1964-1965 წლების გეგმაში შეტანილია 5.800-ზე მეტი მშენებლობის სატიტულო ნუსხები (1963 წლის გეგმაში — 960 მშენებლობა).

მატერიალური და ფინანსური რესურსები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების მოცულობა 1964 წლისათვის 36 მილიარდი მანეთის და 1965 წლისათვის 39,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

კაპიტალური მშენებლობის გეგმაში გათვალისწინებულია, რომ გადაჭრით გადიდდეს დაბანდებანი ქიმიურ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და მასთან დაკავშირებულ დარგებში, აგრეთვე მსუბუქ და კვების მრეწველობაში, ესე იგი იმ დარგებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სწრაფ ზრდას.

1964-1965 წლებში ამუშავდება მნიშვნელოვნად მეტი საწარმოო სიმძლავრეები, ვიდრე წინა ორი წლის განმავლობაში; კერძოდ, მინერალური სასუქების წარმოებისა 1,7-ჯერ, ცელულოზისა — 4,2-ჯერ, შავი ლითონის ნაგლინისა — 1,8-ჯერ.

დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა შემცირდება 1,5 მილიარდი მანეთით და 1965 წელს კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობის 58 პროცენტს შეადგენს ნაცვლად 75 პროცენტისა, რაც 1963 წელს იყო.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესრულება, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, რომლებსაც კაპიტალური მშენებლობის გეგმა ითვალისწინებს, მოითხოვს სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, სპეციალიზებულ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა განმტკიცებას, განსაკუთრებით ქიმიურ საწარმოთა მშენებლობებზე, სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის შემდგომ გადიდებას, მასალების ეკონომიურად გამოყენებას.

შემდეგ ამხ. ლომაკო შეეხო შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებს. 1964 წელს შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში უნდა გადიდდეს 4,6 პროცენტით და 1965 წელს — 6,8 პროცენტით, რაც უზრუნველყოფს მრეწველობის პროდუქციის მთელი დაგეგმილი მატების 70 პროცენტზე მეტს. შრომის ნაყოფიერების ზრდის ნახევარზე მეტი უნდა მივიღოთ წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების გზით.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარება

მოხსენებაში დახასიათებულია მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანები.

რუსეთის ფედერაციამ დიდი წვლილი უნდა შეიტანოს გეგმის საერთო-საკავშირო დავალებათა შესრულებაში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოვნის, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების გამოშვების გადიდების დავალებებს. რესპუბლიკის მთელი ქიმიური მრეწველობის, პროდუქციამ საერთო საკავშირო წარმოების 75 პროცენტზე მეტი უნდა შეადგინოს.

ნავთობის ამოღება შეადგენს საერთო-საკავშირო ამოღების 82 პროცენტს, ხოლო ფოლადის გამოდნობა — საერთო-საკავშირო გამოდნობის დაახლოებით 55 პროცენტს.

გადიდდება მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოება, განსაკუთრებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის წარმოება. ორი წლის განმავლობაში ამუშავდება 200-ზე მეტი ახალი სამრეწველო საწარმო და კვების მრეწველობის საამქრო.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვნად უნდა გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება, განსაკუთრებით მარცვლის, ზეთოვანი კულტურების, შაქრის ჭარხლის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

უკრაინის სს რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობა განვითარდება შექმნილი კომპლექსის შემდგომი სრულყოფის მიმართულებით, ამასთან უპირატესად გაიზრდება პროგრესული დარგები, პირველ რიგში ქიმიური მრეწველობა და მანქანათმშენებლობა. კერძოდ, ქიმიური მრეწველობის პროდუქციის გამოშვება გაიზრდება 36 პროცენტით. ამუშავდება მინერალური სასუქების, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების, ქიმიური ბოჭკოების, ნაგლინისა და სხვა უმნიშვნელოვანესი პროდუქციის წარმოების დიდი სიმძლავრენი.

დიდი ამოცანები დგას რესპუბლიკის წინაშე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისა და ამ საფუძველზე მარცვლის, განსაკუთრებით ხორბლის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, ხორცისა და რძის წარმოების გადიდების დარგში.

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში მრეწველობის პროდუქცია ორი წლის მანძილზე გაიზრდება 22 პროცენტით. სწრაფი ტემპით განვითარდება ქიმიური მრეწველობა, განსაკუთრებით კალიუმიანი სასუქების წარმოება, რომელთა გამოშვება 1965 წელს საერთო-საკავშირო წარმოების 31 პროცენტზე მეტს მიაღწევს.

გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის, განსაკუთრებით ხორცის, რძის, კარტოფილის წარმოების შემდგომი გადიდება.

ყაზახეთის სს რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით განვითარდება ქიმიური მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა, აგრეთვე კვების მრეწველობა.

რესპუბლიკაში ყარა-თაუს უმდიდრეს საბადოებში იქმნება ფოსფორიტების მოპოვების ბაზა, რომელიც თავისი სიდიდით მეორე იქნება ჩვენს ქვეყანაში. დამთავრდება სოკოლოვ-სარბაის უდიდესი სამთოგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა.

ყაზახეთის საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები დიდ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის პურითა და მეცხოველეობის პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში.

შუა აზიაში 1964-1965 წლების გეგმა პირველად შემუშავდა არა მარტო თვითეული მოკავშირე რესპუბლიკისათვის, არამედ შუა აზიის სახალხო მეურნეობის საბჭოსა და სხვა სარესპუბლიკათაშორისო ორგანიზაციებისათვის, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი და შრომითი რესურსების კომპლექსურ და უფრო ეფექტიან გამოყენებას.

სწრაფად განვითარდება მრეწველობის პროგრესული დარგები — ქიმიური, გაზის, ფერადი მეტალურგიის მრეწველობა, დიდად განვითარდება ენერგეტიკა. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია ორი წლის მანძილზე გადიდდება 60 პროცენტით, ფერადი მეტალურგიისა — 40 პროცენტით. გაზის მოპოვება ჩვენს ქვეყანაში გაზის უდიდესი საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყებასთან დაკავშირებით გაიზრდება 5,6-ჯერ. ხორცელდება ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — ნურეკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე იქნება 2700 ათასი კილოვატი, და ენერგოტევადწარმოებათა კომპლექსის მშენებლობა.

სარწყავი მიწების ფართობი შუა აზიის რესპუბლიკებში ორი წლის მანძილზე გაიზრდება თითქმის 300 ათასი ჰექტარით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 1964-1965 წლებში გაიზრდება 21 პროცენტით, აქედან ქიმიური მრეწველობის პროდუქციისა — ერთიორად და უფრო მეტად. გაგრძელდება ამიერკავკასიაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე ენგურზე. ამ ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე 1,6 მილიონი კილოვატი იქნება.

მნიშვნელოვნად გადიდდება ჩაის ფოთლისა და სხვა ტექნიკური კულტურების, ხილის, ყურძნის წარმოება.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში მრეწველობის პროდუქციის მოცულობა ორი წლის მანძილზე 24 პროცენტით გაიზრდება, ხოლო ქიმიური მრეწველობის პროდუქციისა — 65 პროცენტით. ამუშავდება მინერალური სასუქებისა და გოგირდმჟავას წარმოების მნიშვნელოვანი სიმძლავრენი.

გაჩაღდება საირიგაციო მშენებლობის დიდი სამუშაოები. ახალ სარწყავ მიწებს უმთავრესად გამოიყენებენ მებამბეობის, მევენახეობისა და მებაღეობის განვითარებისათვის.

სომხეთის სს რესპუბლიკაში მრეწველობის პროდუქციის გამოშვება ორი წლის მანძილზე გაიზრდება 26 პროცენტით, კვლავ განვითარდება მეგენახეობა, მეთამბაქოობა, მეხილეობა, მეცხოველეობა.

გაიზრდება მრეწველობის პროდუქციის გამოშვება ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებში.

დიდი ამოცანებია დასახული ბალტიისპირეთის მოკავშირე რესპუბლიკების წინაშე სოფლის მეურნეობის ინტენსიურ განვითარებაში. ძლიერდება სპეციალიზაცია სარძეო და სახორცე მეცხოველეობაში, მეფრინველეობაში, სელის, კარტოფილის წარმოებაში.

მოლდავეთის სს რესპუბლიკაში მრეწველობის პროდუქციის მოცულობა ორ წელიწადში 26 პროცენტით გაიზრდება. კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობიდან დაახლოებით 40 პროცენტი ხმარდება კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ლისა და სხვა სასურსათო საქონლის მ[illegible] ... ამ ქვეყნებიდან მიწოდებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სახალხო მოხმარების საქონელი.

საბჭოთა კავშირი დაეხმარება ქვეყნებს, რომლებიც კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდნენ და თავიანთ დამოუკიდებელ ეროვნულ ეკონომიკას ქმნიან, სამრეწველო საწარმოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში, რომლებიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ ქვეყნების განვითარებაში. სსრ კავშირს ისინი მოაწვდიან თავიანთი ექსპორტის ტრადიციულ საქონელს, ჩვენი ქვეყანა ეცდება შემდეგშიც განავითაროს კავშირო ურთიერთობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთ ინტერესების გათვალისწინებით.

შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისა და 1964-1965 წლებში ჩვენი სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდის შედეგად მიღწეულ იქნება ახალი მწვერვალები იმ ამოცანის გადაჭრაში, რომ დაეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკონომიური განვითარების დონით, ამბობს ამხ. ლომაკო. იგი ადარებს სსრ კავშირის სამრეწველო წარმოების დონეს, რომელიც დაგეგმილია 1965 წლისათვის, იმ დონეს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს 1958 წელს ჰქონდათ. გამოდის, რომ ბევრი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის — მინერალური სასუქების, თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, რკინის მადნის, კოქსის, ქვანახშირის, მანქანათმშენებლობის ცალკეული სახეობათა პროდუქციის, ცემენტის, ფანჯრის მინის, მერქნის, ხეხერხილი მასალის, შალის ქსოვილების, შაქრის, კარაქისა და ზოგიერთი სხვა საქონლის წარმოება სსრ კავშირში 1965 წელს გადაჭარბებს დონეს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში 1958 წელს იყო.

რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ წლებში რამდენად წინ წიოს წინ. მაგრამ ამის გათვალისწინებითაც ბევრი ზემოაღნიშნული დიდმნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის წარმოება 1965 წელს სსრ კავშირში გადაჭარბებს ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე წარმოების დონეს ან ამ დონეზე იქნება.

მთლიანად სსრ კავშირის მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1953 წელს შეადგენდა ამერიკის პროდუქციის მხოლოდ მესამედს, შვიდწლედის დასაწყისში დაახლოებით ნახევარს, ხოლო მიმდინარე წელს ჩვენ ვაწარმოებთ ამერიკის შეერთებული შტატების პროდუქციის თანამედროვე მოცულობის 65-მდე პროცენტს. 1965 წელს ჩვენ გვექნება სამრეწველო წარმოების ისეთივე მოცულობა, როგორიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდათ 1958 წელს, ანუ მისი თანამედროვე დონის სამი მეოთხედი.

1964-1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, ამბობს დასასრულ მომხსენებელი, მტკიცე საფუძველს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ პროგრესულ განვითარებასა და იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრას, რომლებიც პარტიის XXII ყრილობამ დაგვისახა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის — მსოფლიოში ყველაზე მაღალი დონის მიღწევის საქმეში.

მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მოძღვრებით შეიარაღებული ჩვენი დიდი ლენინური პარტია მტკიცე რწმენით მოუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნისტური საზოგადოების აშენების გზით.

პარტიისა და ხალხის ნება განსახიერებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პარტიისა და ხალხის ნებასთან ერთად, ამ ისტორიული პლენუმის ... სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმა.

საბჭოთა ხალხი, მჭიდროდ შეკავშირებული მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც სთავეში უდგას ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, თავისი თავდადებული შრომით უზრუნველყოფს 1964-1965 წლების გეგმის წარმატებულ, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, რაც დიდი წვლილი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეში.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

15 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას იღებდა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების მე-20 წლისთავის ზეიმობაში. (საკდესი).

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან 16 დეკემბერს მოსკოვს დაბრუნდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი. ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები იყვნენ ლენინგრადსა და კიევში. მათ ყველგან გულთბილად მიესალმებოდნენ საბჭოთა ადამიანები. (საკდესი).

ᲯᲝᲣ ᲔᲜ-ᲚᲐᲘ ᲙᲐᲘᲠᲝᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

კაირო, 14 დეკემბერი. (საკდესი). შვიდი დღის ოფიციალურ ვიზიტად დღეს აქ ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი.

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილია 25 სპეციალური ინსტიტუტი, სადაც უმაღლესი განათლების მქონე პირები სწავლობენ საბჭოთა კავშირის ცხოვრებას. ამერიკის უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში სტუდენტებს ასწავლიან საბჭოთა ისტორიას, კულტურას, იდეოლოგიას, რუსულ ენას. ამერიკის შეერთებული შტატების ასზე მეტ საზოგადოებრივ და კერძო საშეალო სკოლაში სწავლობენ რუსულ ენას. ეს ცოფრები და ფაქტები მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში წლითიწლობით იზრდება ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი.

სულ უფრო მეტი ამერიკელი ცდილობს იმოგზაუროს საბჭოთა კავშირში. პრინსტონის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორმა სირილ ბლეკმა განაცხადა, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირ-ამერიკის კულტურული გაცვლის გაფართოება, და თქვა, რომ საბჭოთა კავშირის შესახებ რეალისტური წარმოდგენა რომ ვიქონიოთ საუკეთესო საშუალებაა ვნახოთ ეს ქვეყანაო.

ᲐᲯᲝᲛᲐᲣᲠᲘ ᲑᲝᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთმა მოაგვარა ატომური ბომბების მასობრივი წარმოება, აღიარა გუშინ საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტრმა პიერ მესმერმა, რომელიც გამოვიდა ნანსიში მერების თათბირზე. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, მესმერმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს ატომური იარაღის წარმოებას.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ „ᲙᲝᲖᲐ ᲜᲝᲡᲢᲠᲐᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ

ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი. (საკდესი). ჯერ კიდევ არ იყო შემწყდარი ამერიკის შეერთებულ შტატებში მითქმა-მოთქმა იმის გამო, რომ განსტერებმა მოიტაცეს ესტრადის ცნობილი მომღერლის ფრენკ სინატრას შვილი, რომ ამ ქვეყანას მოედო ახალი სენსაციური ამბავი — 13 დეკემბერს ბოსტონის აეროპორტში გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა დაუპატიმრეს ამერიკის შეერთებული შტატების დამნაშავეთა უდიდესი სინდიკატის „კოზა ნოსტრას“ ერთ-ერთი მეთაური ანქელო ბრუნო. მიმდინარე წლის სექტემბრიდან ბრუნო ცხოვრობდა იტალიაში, სადაც იგი გაემგზავრა ცოტა ხნით ადრე, სანამ ფილადელფიის დიდი ჟიური (ნაფიც მსაჯულთა სასამართლო) აღიარებდა მას დამნაშავედ გამოძალვაში.

როგორც აცხადებენ, ანქელო ბრუნო ამერიკის დამნაშავე ელემენტების უდიდესი იმპერიის — „კოზა ნოსტრას“ „უმაღლესი საბჭოს“ ერთ-ერთი წევრია. ეს ორგანიზაცია ბანდიტების, მკვლელების, ნარკოტიკებით ვაჭრების, რეკეტირების, თეთრკანიანი მოხალვაჭრების გაერთიანებაა. დამნაშაეეთა სინდიკატის ოპერაციების საერთო გაქანების დადგენა შეუძლებელია, მაგრამ, როგორც ამტკიცებენ, იგი მილიარდ დოლარობით გამოიხატება. სინდიკატი სამსახურს უწევს ბევრი ქალაქისა და შტატის პოლიტიკურ მანქანას.

როგორც ამერიკის პრესა აცხადებს, „კოზა ნოსტრას“ საქმიანობის მხილებას დიდად შეუწყო ხელი განსტერ ვალარის აღიარებამ, რომელმაც გაწყვიტა კავშირი სინდიკატთან.

გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელმა ედგარ ჰუვერმა განაცხადა, რომ ბრუნოს საქმესთან დაკავშირებით ოქტომბერსა და ნოემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაუპატიმრეს კიდევ 10 კაცი.

ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲚᲝᲡ-ᲐᲜᲥᲔᲚᲝᲡᲨᲘ

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ... ლოს-ანჯელოსის მჭიდროდ დასახლებულ რაიონში, როცა გაირღვა ერთ-ერთი ახლომდებარე წყალსაცავის კაშხალი. წყლის მძლავრმა ნაკადმა წალეკა 200-ზე მეტი სახლი, ასობით ავტომანქანა, იუწყებიან უცხოეთის საგენტოები. 2 ათასზე მეტი სახლი დაზიანებულია. ადამიანთა მსხვერპლის ოდენობა ჯერჯერობით გამოურკვეველია. პოლიციის მონაცემებით, ამ რაიონში ცხოვრობს 6 ათასამდე კაცი.

მაგრამ მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი რაიონიდან გაიყვანეს, როცა კაშხალში აღმოჩნდა ბზარი.

ქალაქის ხელისუფლებმა დატბორილი რაიონი საგანგებო ზონად გამოაცხადეს. რაიონში გაიგზავნა ვერტმფრინავები და სხვა საშველი საშუალებანი.

ᲛᲢᲠᲘᲡ ᲪᲘᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ

საზოგადოებრივი წარმოების სწრაფი ზრდა და პროგრესული ძვრები მის განვითარებაში მტკიცე მატერიალურ ბაზას უქმნის საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას. გეგმაში გათვალისწინებულია ეროვნული შემოსავლის 16 პროცენტით გადიდება ორ წელიწადში. ეს უზრუნველყოფს მოსახლეობის მოხმარების ფონდისა და შემოსავლის შემდგომ გადიდებას.

1965 წელს მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი 1963 წელთან შედარებით თითქმის 5,5 მილიონი კაცით გადიდდება და 76,1 მილიონი იქნება. ხელფასის ფონდი ორ წელიწადში გადიდდება 12 პროცენტზე მეტით და უფრო მეტი იქნება, ვიდრე შვიდწლედით იყო დასახული. გათვალისწინებულია სახსრები მცირეხელფასიანი მუშაკებისათვის თვიური ხელფასის მინიმუმის გასაადიდებლად 40-45 მანეთამდე თვეში და განათლების, ჯანმ